საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-09/322

ქ. ბათუმი 03 მაისი, 2018 წ.

ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 02 მაისის MES 9 18 00516766, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 01 მაისის MES 9 18 00496390 და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 03 მაისის MES 8 18 00522722 მოხსენებითი ბარათებით წარმოდგენილი იქნა იმ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია, რომელთაც ერთი და იგივე სასწავლო კურსი მოისმინეს სამჯერ და ვერ შეძლეს კრედიტების მიღება.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, ერთი და იგივე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენისა და კრედიტის ვერ მიღების შემთხვევაში პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი. აღნიშნულიდან გამომდინარე კანონშესაბამისია მოხსენებით ბარათებში მითითებული პირების მიმართ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, 66–ე მუხლის მე–8 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 02 მაისის MES 9 18 00516766, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 01 მაისის MES 9 18 00496390 და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 03 მაისის MES 8 18 00522722 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად იმ სტუდენტთა **(დანართი N1)** მიმართ, რომელთაც ერთი და იგივე სასწავლო კურსი მოისმინეს სამჯერ და ვერ შეძლეს კრედიტების მიღება.

2. დაინტერესებულ პირებს - სტუდენტებს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ **03 დღის ვადაში** წარმოადგინონ ბსუ-ს კანცელარიაში წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.

3. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2018 წლის 07 მაისის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

4. ბრძანება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით ჩაბარდეთ სტუდენტებს, რომლის უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებსა და კანცელარიას;

5. ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი №1

იურიდიული ფაკულტეტი

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)	სწავლების წელი	უმაღლესი განათლების საფეხური
1.	ცენტერაძე რუსუდან		სამართალმცოდნეობა	მეორე	ბაკალავრიატი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

№	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)	სწავლების წელი	უმაღლესი განათლების საფეხური
2.	ბერიძე დავით		საბუღალტრო და საგადასახადო საქმე	მეორე	ბაკალავრიატი
3.	ბერიძე მარინა		მარკეტინგი	მეორე	ბაკალავრიატი

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

№	გვარი სახელი	პირადი ნომერი	სპეციალობა	საფეხური	სწავლების წელი
1	შაინიძე ლაშა		მშენებლობა	ბაკალავრიატი	მესამე